№ 202 სექტემბერი 24, კვირა 1889 სექტემბერი 24, კვირა № 202

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

## სასწავლებელი და პანსიონი

### ი. რ. მიქელიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად უველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(15—10)

„ნიმუშად გაკეთებულნი ამოცანანი მათემატიკისანი“

ალგებრისა, ელემენტარულის და ანალიტიკურის გეომეტრიისა, ტრიგონომეტრიისა და ალგებრის წესით გაკეთებულნი ამოცანანი გეომეტრიისა და არითმეტიკისანი და

„გვარტომობის ხე რუსეთის მეფეთა და მთავართა“,

შედგენილი ჟღენტის მიერ.

სათავად აზნაურო სკოლებში ნასწავლ უმაწვილებს, რომელნიც გიმნაზიის უფროსს კლასებში სწავლობენ, შეუძლიანთ უფასოდ მიიღონ ეს წიგნი, რისთვისაც უნდა მიმართონ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორს.

Примѣрныя рѣшенія задачъ по математикѣ

(алгебрѣ, ариѳметикѣ, приложенію алгебры къ геометріи, геометріи—элементарной и аналитической и тригонометріи»), а также «*Родословныя русскихъ царей*», сост. И. Жгенти, могутъ получить безвозмездно ученики старшихъ классовъ гимназій, кончившіе курсъ въ дворянскихъ школахъ, для чего должны обратиться къ Инспектору Тифлисской Двор. школы. (3—3)

ქართული თეატრი

სამშაბათს, 26 სექტემბერს,

ქართულ დრამატიულ დასის ამხანაგობისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

მეორედ გაყმაწვილება

დრამა 4 მოქმედ., გადმოღ. თ. დ. გ. ერისთავისაგან.

II

გულმა იგრძნო

დრამატიული ეტიუდი 1 მოქმედ.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, ავალიშვილისა, კასიისა; ბ-ნნი აბაშიძე, ყაფიანი, ცაგარელი, გუნია, კანდელაკი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე.

## ახალი ამბავი

*** 22 ამ თთვისას, ვერაზე, „ივერიის ბაღში“, ქართველმა საზოგადოებამ გაუმართა სადილი ჩვენს დრამატიულს დასს. სადილზე სხვათა შორის დაესწრო პროფესორი მხატვარი ბ-ნი მაკოვსკი თავის ცოლ შვილით. სადილმა ძლიან მხიარულად ჩაიარა: დალიეს ბევრი სადღეგრძელოები არა იქ დამსწრე კაცებისაც, რომელთაც სამსახური გაუწევიათ ჩვენის სამშობლო თეატრისთვის. წარმოთქმული იქმნა მრავალი სიტყვა, ლექსი და სხვ.

*** 22 ამ თთვისას საადგილ-მამულო ბანკის თეატრში ოპერეტის არტისტებმა ითამაშეს ოფფენბახის სამმოქმედებიანი ოპერეტი «მშვენიერი ელენე». დიდი ხანია ტფილისელებს არ უნახავთ ეს მშვენიერი ოპერეტი ასე კარგად ნათამაშევი. საუცხოვო რამ იყვნენ ქ-ნი რატმიროვისა და ბ-ნნი ლოდი და ბიაზი და დიდის ტაშის კვრითაც ეგებება ხოლმე იმათ საზოგადოება გამოსვლაზე. ბ-ნ ფიარკატის საქმე ამ რიგად მკვიდრ საძირკველზე სდგას და რომ ასე გასტანოს ბოლომდე, საჭიროა არ დაივიწყოს, თავისი მოვალეობა საზოგადოების წინაშე: პირველს შემთხვევაში მიაქციეთ იმის ყურადღებას ხოროს. იმისთანა მშვენიერ, პირველ როლების არტისტებს, როგორიც იმასა ჰყავს, უფრო კარგად გაწვრთნილი და რიგიანი ხორო ეკადრება.

*** ტფილისის წმ. მოციქ. პეტრე და პავლეს სასაფლაოს ეკკლესიას უნდა მოუმატონ და გაადიდონ. ამ ჟამად დაიწყეს მუშაობა საძირკვლის ამოთხრისა. ამისათვის საჭიროება ითხოვს გვამები, რომლებიც ტაძრის მახლობლად დამარხულნი არიან, სხვა ადგილს გადაიტანონ. ამ ეკკლესიის მრევლის მზრუნველნი სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მიცვალებულებისას მობრძანდნენ დღესვე და დაესწრნენ გადატანის რიგის გადახდას.

*** პარასკევს, 22 ამ თთვისას, ღამის თერთმეტს საათზე, იარმუკაში, ცხენის რკინის გზის ლიანდაგზე ეგდო ვიღაცა კაცი, რომელსაც სიცოცხლის ნაშანი სრულიად არ ეტყობოდა. გარშემო შემოხვევოდა დიდ-ძალი ხალხი, ეს უცნობი კაცი, რომლის სახელი და გვარი ჯერაც არავინ იცის, მკვდარი იპოვნეს ტფილისის ვაჭრის ბულდანოვის სახლის ეზოში. ეს ამბავი პოლიციას შეატყობინეს, რომელმაც გვამი გაგზავნა საანატომიო თეატრში. ჯერ არავინ იცის, ვინ არის ეს კაცი და რა არის იმის სიკვდილის მიზეზი.

*** პარასკევს, 22 ამ თთვისას, ტფილისის ახლოს შემდეგი უბედურება მოხდა. წინა დღეს საღამოთი ტფილისიდგან ოთხი ახალგაზდა ყმაწვილი კაცი წასულა სანადიროდ კოდას გზაზე. მეორე დღეს დილით გამოსულან სანადიროდ. შუადღისას მონადირეთ გაუშლიათ სუფრა და დაუწყიათ პურის ჭამა. ამ დროს ძაღლები თურმე აქვე გარშემო დასტრიალებდნენ. საუბედუროდ, ერთს ძაღლს როგორღაც ფეხი მოუდვია თოფისთვის, თოფი გავარდნილა და მოხვედრია იქვე ერთს მონადირეს, არშაკ პ—ნს, რომელიც მძიმედ დაჭრილია საფანტით მარჯვენა თეძოში. დაჭრილი ამხანაგი ძლივ-ძლივობით მოუყვანიათ თავის სახლში. შესანიშნავია, რომ როცა ეს უბედურება მოხდა, ძაღლები მივარდნენ თავიანთ ამხანაგს, რომელმაც თოფს ფეხი წამოსდო, დაეცნენ და საშინლად დაჰკბინეს, ისე რომ პატრონებმა ძლივს გააგდებინეს პირიდგან.

*** სოფ. ბეჟათუბანი: 8 ამ თთვისას, სადგურის მახლობლად, სოფ. წონისში, ღვთის-მშობლობა დღეს, შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა. ამ დღეს, ქართველებს გარდა, მოსულან დროს გასატარებლად ქვის მთლელი ბერძნებიც. მოსულა ერთი ახალგაზდა კაცი, მიახლოვებია ძველ ღვთისმშობლის ეკკლესიას, დაუდგამს აპარატი და სდომებია ეკკლესიის ნანგრევების სურათის გადაღება. ხალხი, იმ განზრახვით, რომ ჩვენც სურათში მოვჰყვეთო, ასულა ეკკლესიაზე. ხალხში ყოფილა იქაურის დიაკვნის შვილი, ლ. ფერაძე, და ბერძნების უსტაბაში სიდოროპულო. სიდოროპულოს უნდობლად ფეხი დასცდენია და დაცურებულა ძირს. იქავე კედლის პირაზე მდგომარე ლ. ფერაძესთვის უტაცნია ხელი, რომ თავი შეემაგრებინა და ისიც თან ჩაუტანია. წამომდგარა ფეხზე გულ-მოსული ფერაძე და უთხლეშია ბერძნისათვის. დაუწყიათ ერთი-ერთმანეთისთვის ცემა. მიშველებიან ბერძენს ბერძნები, ლ. ფერაძეს კიდევ მამა და თავიანთ სოფლის ხალხი და ცოტა ხნის შემდეგ გა-

## ფელეტონი

### ბოდვა

კაცს რომ სიცხე უთავ-ბოლოდ აალაპარაკებს, იმას ბოდვას ეძახიან ჩვენში. ბევრჯელ და ბევრგან ბოდვას უპირატესობას აძლევენ ხოლმე სწორ-მეტყველებაზე და ამის გამო თავის საკუთარი ისტორიაცა აქვს: ძველს დროში სამ-ფეხზე დასვამდნენ ხოლმე ქადაგებს, უბოლებდნენ, თავბრუს ახვევდნენ და მერე ამათი უაზრო „ბურტყული“ ზეჩაგონებულის ჭეშმარიტების ნიშანი ეგონათ. ვინ მოსთვლის, ამ გვარად რამდენი წამოროშილი სიტყვა გამხდარა მსოფლიო წინასწარ-მეტყველებად? ზოგან ღვთის გლახებიც-კი დიდად მიაჩნდათ!.. ვის არ მოგეხსენებათ ოპრიჩნიკების ამბავი და მათი თავხედობა? ივანე მტარვალის ნება-რთვით მთელ სამეფოს მუსრს ადენდნენ და არას ჰკერებდნენ სულიერ მამებს: მათთვის პატრიარხის მოძღვრება უბრალო ყბედობა იყო, დარბაისლების ბრძნული და პატიოსნური რჩევა—უგუნურების ზღაპარი და ქერივ-ობლების ოხვრა-მოთქმა—სალხინო „იავ-ნანინა“. მაგრამ იმათაც-კი გამოუჩნდათ მოპირდაპირე: ერთხელ, როცა ისინი ქალაქს წინ-წამორს თავდასხმასა და აკლებას უპირებდნენ, გზაში წინ გადაურბინათ ტიტველ-კანა ღვთის გლახამ ჩხავილით: „ყვა - ყვა - ყვაო!“ ეს ამოდენა ავაზაკების გუნდი შიშის ზარმა აიტანა: „ცუდი ნიშანია, ყორანივით დაგვძახა გლახამაო!“ და უკანვე გამობრუნდნენ. გადარჩა უბანი აოხრებას. უმეცრებისათვის ამაოდმორწმუნება სარწმუნოებისა და რჯულის ცალია, მაგრამ უფრო სახელდახელო და ამიტომაც ადვილად მისარებელიც მეტი ჰყავს!.. და ამას რა მოსდევს? ის, რომ ხშირად სადაც ჭკუას არა აქვს გასავალი, იქ ბოდვა და სისულელე სჭრის ხოლმე. ეს მიზეზია, რომ ამ ბოლოს დროს მეც ქადაგად უნდა დავჯდე და ბოდვას მივყო ხელი. მართალია, სამ-ფეხს არავინ მომაწოდებს, რომ ზედ დავჯდე, მაგრამ თუ ჩემი საკუთარი ორი ფეხი-კი შემარჩინეს, ისიც დიდი ღვთის წყალობა იქნება. დეე ნუ დავჯდე, ზეზე მდგომარე ვიქადაგებ, ეგების ამდგარიც არ დაიწუნონ, თავბრუს დასასხმელად ბოლებაც აღარ იქნება საჭირო. ჩვენი დღევანდელი ცხოვრება, ერთმანეთთან დამოკიდებულება, ქცევა და სიტყვა-პასუხი სულ მყრალის ბალახების ბოლვა-ხრჩოლება არ არის? ვის არ დაესხმის ბრუ, თუ არ თავ-ლიტონიანს? მე-კი მზად ვარ და კიდეც გამოვდივარ ქადაგად. ადვილი ხელობაც არის: მე ჩემთვის უაზროდ რასმე წამოვროშავ და სხვებს-კი გამოცანა ეგონებათ და დაფიქრდებიან: „ნეტა ვისზედ ამბობსო?“ იფიქრებენ და თითონვე მიათითებენ იმათ, ვინც მე სიზმრადაც არა მყოლია ნათქვამია: „ქურდი მთხრობელს მიხვდებაო!“ ამ საუკუნეში ბევრი გაოპრიჩნიკდა ჩვენში, მაგრამ ჩვენ რომელი ერთი უნდა დავასახელოთ? ის არა სჯობს, რომ ჩვენთვის წამოვიძახოთ „ყვა-ყვაო!“ და იმათ-კი ყველას ერთად ფერი ვუცვალოთ? ეგებ ვინმემ კიდეც დამძრახოს: ე ღვთის გლახობა მაინც რაღა საკადრისი იყოო? და, იმ დალოცვილს, ერთი უთხარით, რომ, სხვა-და-სხვა ფერობისათვის, ამდენ ღვთის-კარგში ერთი გლახაც აღარ გამოერიოს? ხანგრძლივობით კარგიც-კი მოსწყინდა კაცს. აბა ერთი მიიხედ-მოიხედეთ რა ამბავია ჩვენს გარეშემო? სუყველგან სიბრძნის ზღვა სდგას და გრძნობის მორევი! არ გესმით რა ჭკვიანურადა და უტყუვრად სჯიან ეს ვაჟბატონები, როცა ხანგრძლივის მოფიქრების შემდეგ ამტკიცებენ ხოლმე, რომ დღე ნათელია და ღამე-კი ბნელა, თუ მთვარე არ არისო!.. ამას მოფიქრება არ უნდა? ვერა ჰხედავთ, რა გრძნობას იჩენენ ჩვენი ყმაწვილები და ქალბატონები, როცა სტაფილოსა და ბოლოკზე ჩამოვარდება ხოლმე საუბარი? თუ მოიცალეს როდისმე უფრო მაღალ და საგრძნობელს საგანზე, მაშინ ნახავთ რასაც იზმენ? ცხადია, გრძნობით უნდა დადნენ!.. მე-კი ამის იმედი მექნებოდა, რომ ერთი ამბავი არ მაგონდებოდეს: მთიული ბარად, ქალაქში ჩამოვიდა, მკერვალების უბანი რომ გაიარა და ნახა, რომ ეს ამოდენა ვაჟკაცები საოცარის სიმარდით ნემსებს ატრიალებდნენ, გაუკვირდა და იფიქრა: „ბიჭოს! ამ პატარა იარაღს, ნემსსა და სათითურს, რომ ასე სწრაფად ხმარობენ, უფრო დიდი იარაღი რომ მისცეთ ხელში, რას არ იქმონენო?“ და ამოიღო ხმალი, რომ მათთვის მიეწოდებინა, მაგრამ მკერვალები-კი შეშინდნენ და აქეთ-იქით მიიმალნენ. ვაი თუ ამ ჩვენ მებოლოკია-მგრძნობიერებსაც ისე მოუვიდეთ, როდესაც საქმე დიდად საგრძნობელს საგანზე მივარდება!! მაგრამ რას ვამბობ? ეს განა შესაძლებელია? არა, არა, მე მაბოდებს და, თქვენ და თქვენი ღმერთი, ნუ დაიჯერებთ!.. და განა მარტო მე მაბოდებს, ჩემს სტვირსაც ასეთივე დღე ადგია და უთავ-ბოლოდ იძახის: „პიპუ-პიპუო“. ყური დაუგდეთ, თუ არა გჯერათ:

ერთს ვისმეს ვიცნობ შორიდგან,
თქვენც განსხვებათ ყველასა;
ვარსკვლავებს ეპოტინება,
ზეცას ჰკიდია ყელსასა;
მგელს კრავის ტყავში დამალავს,
ქათამს მოჰპარავს მელასა;
სასალხოდ ოქროპირადა
გვიქადდა ჭირში შველასა!
თითონ დარბაზში შებძანდა,
ჩვენ დაგვსვა სანახველასა!!
ვინც გამოიცნობს ამ ბატონს,
მივართმევთ საჩუქრელასა!!

ამისთანა ჩვენში არავინ არისო, მეტყვიან, და ნუ თუ მართლა? ეგების

უშველებიათ. ლავრენტი ფერაძე კიდევ მივარდნია სიდოროპულოს, წვერდა-წვერ დაუცია ხანჯალი მუცელში და დაუჭრია გვერდში და ბეჭებში, ბერძენს იქვე დაულევია სული.

⁂ **სურამი:** სოფელ „დუმაცხეს“ მოხდა საზიზღარი და შემაძრწუნებელი ამბავი, ბიძამ მოჰკლა ხანჯლით თავის ძმისწული, 10—11 წლის ბავშვი, 20 ამ სექტემბერს, დილის 10 საათზე. აი საქმე როგორ ყოფილა: ეს სოფელი ეკუთვნის თავად ხერხეულიძეებს. სოფ. ყორნისიდგან მოსულან ამ სოფელში თავად მიხეილ ხერხეულიძე და იმის ძმის ცოლი, ქვრივი ზაყა ხერხეულიძისა, თავის 10—11 წლის შვილით. 20 ამ სექტემბრისას მიხეილ ხერხეულიძეს მიუცია მოსახნავად გლეხ პაპუაშვილისთვის ერთი ნაჭერი მიწა და გლეხსაც დაუწყია ხვნა. რძალი და ძმისწული გადაჰლობებიან გლეხს და აუშვებინებიათ «გუთანი». უთქვამთ, რომ ეგ ჩვენი წილიაო და ჩვენის ნება-დართვით უნდა მოჰხნათო. გლეხს შეუტყობინებია მიხეილ ხერხეულიძისთვის, ისიც მოსულა და ხელმეორედ დაუწყებინებია ხვნა. ყმაწვილს მოუვლია გუთნისთვის და და უშლია ხვნა. ამასობაში შელაპარაკებულან რძალი და მაზლი. ყმაწვილი დედას გამოსარჩლებია, ბიძას გული მოსვლია და ხანჯალი უძვრია. ყმაწვილს ამოღებული ხანჯალი რომ დაუნახავს, გაქცეულა, ბიძაც გამოსდგომია, მოსწევია და ორგან კისერსა და ყელში ხანჯლის წვერი უტაკებია. ბავშვი კიდევ გაქცეულა, მაგრამ, საუბედუროდ, რაღაზედაც ფეხი წამოუკრავს და წაქცეულა. ამ დროს ბიძაც დასწევია და სუკში ხანჯალი დაუცია ისე მაგრად, რომ მეორე მხარემდე გაუტარებია. გუშინდღამდე ედგა სული უბედურს და გუშინ შუადღის დროს გარდაიცვალა. პოლიციის მოხელეც გუშინ მოვიდა, საქმე გამოიძია, ხოლო დამნაშავე არ დაუჭერია. დღეს ექიმსა და გამომძიებელს მოელიან.

⁂ სოფ. **ჩუნეში** (ქუთაისის მაზრა): ქუთაისის მახლობლად, სოფელს ჩუნეშს, 30 აგვისტოს, თავად მერაბ ლორთქიფანიძის ოჯახში თ. ლორთქიფანიძეების ქალებმა გამართეს შინაური წარმოდგენა. წარმოადგინეს „ბიძიასთან გამოხუმრება“ და დადგეს რამდენიმე ცოცხალი სურათი. დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო და ყველანი აღტაცებაში მოიყვანა ამ არა-ჩვეულებრივმა ამბავმა. მართლაც, ისე მშვენიერად ჩაიარა წარმოდგენამ, რომ, სოფელში-კი არა, ქალაქ ადგილასაც მოსაწონი იქნებოდა. სასურველია, რომ ამისთანა წარმოდგენებს უფრო ხშირად გამართავდნენ ხოლმე არა თუ უფულოდ, როგორც ეხლა იყო, არამედ ფულით, რათა ამით შემწეობა აღმოუჩინონ ჩვენს ღარიბს სამრევლო სკოლას.

⁂ ქ. **კიევი:** უმაღლესს სასწავლებლებში ამ ჟამად რვა ქართველი ყმაწვილი სწავლობს. ამათგან უნივერსიტეტში ირიცხებიან: ქუთათელაძე, აბულაძე, ლორთქიფანიძე, ჩაჩიბაია, ორი—ცინცაძე და ფერაძე—სასულიერო აკადემიაში და ორიც—კურცხალია და იმხნელი—საფთიაქო ხელობას სწავლობენ უნივერსიტეტში.

⁂ სოფ. **ნიგოითი** (გურია): თუ რამდენს უსიამოვნებას ვაყენებთ ერთმანერთს ნიგოითელები სულ უბრალო მიზეზის გამო, შემდეგის ამბიდგან დაინახავთ. შიგ შუაგულ სოფელში წმ. გიორგის ეკკლესია გვაქვს. ამ ეკკლესიას გარეშემო ქვითკირის გალავანი აქვს შემოვლებული, ხოლო ეს გალავანი ვერასა შველის. საქმე იმაშია, რომ გალავანს კარები არ აქვს. კარების გაკეთება რა ძნელი საქმეა იქ, სადაც ეკკლესია აუგიათ და გალავანიც გაუკეთებიათ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ერთი-ერთმანეთის ქიშპობით კარები ვერ დაგვიკიდნია. რამდენჯერმე ჩამოვკიდეთ კარები, მაგრამ ვერ შევირჩინეთ, დღეს ერთს მხარეს გავაკეთეთ კარები, მოვლენ მეორე მხარის მცხოვრები და ჩამოხსნიან: კარები ჩვენკენ უნდა იყოსო. გაიკეთებენ ესენი კარებს და ეხლა ჩვენ მივუხტებით და ჩამოვხსნით. ასე და ამ გვარად ეკკლესია უკარებოდ რჩება და ამიტომ ყოველ გვარი ოთხ-ფეხი შიგ ეკკლესიის ეზოში ჰბუდობს.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ბარის ოსეთი, სექტემბრის 13. აგიღებ ხოლმე კალამს ხელში და ვიტყვი: ეხლა მაინც სასიამოვნო ამბავს გაცნობებ რასმე მკითხველსა-მეთქი, მაგრამ ჭირი აგცილდეთ, ენახოთ, რომ გავარდა ზედი-ზედ ხმა: აქ საქონელი მოიტაცეს, იქ კაცი მოჰკლეს დასჭრეს, აქ სახლი და დუქანი გატეხეს, იქ გაძარცვეს და სხვა. ისე ხერხიანად იქცევიან ბარის ოსეთში ეს გაქნილ-გაწვრთნილი ქურდები, რომ, სწორედ მოგახსენოთ, საოცარია. ჯერ მიჩუმდებიან ერთად, აღარ ისმის ქურდობა-ავაზაკობის ხმა, ხალხიც, რასაკვირველია, ამბობს, ეს არის ღმერთმა გვიშველა, დაგვიხსნა ქურდებისაგანაო, და მოსვენებით არის. ამ მოსვენებით ქურდები სარგებლობენ, ეზო-კარებს ათვალიერ-ჩაათვალიერებენ და რომ შეიგულებენ სამსხვერპლოს, მიჰყოფენ ხოლმე ხელს ქურდობას ერთად, თითქო ტელეგრაფი ჰქონდეთ გამართული.

აგერ თითქმის თთვე გადიოდა და მიყუჩდა ქურდობა, მაგრამ უცბად დაუქროლეს აქეთ-იქით ალალებივით და აი წარსულ მარიამობისთვეში რამდენი ქურდობა და ავ-კაცობა მოხდა: სოფ. ხუმელაგაში თუაევს მოჰპარეს ორი ცხენი, რომლისაც გზა-კვალიც ველარსად მიაგნეს. ხუმელაგაშივე გაბოკოვს, როცა მოხდოკიდგან ურმით სახამთრო მოჰქონდა, დახვდნენ სოფ. ბათაყის მიჯნაზე ქისტები, ცხენი წართვეს და თითონ-კი თავი გამოუთქვეფეს სახამთროთი. ხუმელაგაშივე მგზავრ ჩირქიზებს, როცა ღამე დასასვენებლად დადგნენ, მოჰპარეს ოთხი ხარი. ხუმალაგის მღვდელი ნესტორ ბაკურაძე, როცა შვიდს მარიამობისთვისას სტუმრად ეწვია სოფ. ოლგინსკის მღვდელს და ღამე იმასთან დარჩა, მოჰპარეს რვა თუმნად ღირებული ცხენი; ამ ცხენის კვალი მაციყოს სოფელში (ქისტების სოფელია) მიიტანეს. სოფ. ბესლანში მცხოვრებს გლეხის ეზოში შევიდნენ ქურდები, პატრონს ცხენთან ეძინა, ორი ქურდი თავზე დაადგა და ორმა სამი ცხენი აუშვა. ამ დროს გაიღვიძა პატრონმა და წამოდგომა დააპირა. როგორ თუ გაიღვიძეო, საბრალოს დაუშინეს თოფის კონდახები თავ-პირში და თავ-პირიც ჩაამტვრიეს და სამი ცხენიც წაიყვანეს. სოფ. ზილგეში ერთ საღამოთი შახ მირზა გზაროვის ცხენის ჯოგიდგან წაიყვანეს ოც და თერთმეტი ცხენი ქისტებმა ზილგიდგან მდევარი მალე დაედევნა, მაგრამ ღამის სიბნელემ უსწროთ, ასე რომ იმ ღამეს ცხენები ველარ დაატოვებინეს მომტაცებელთ. მეორე დღეს-კი ტოის სოფლიდგან (ქიშტების სოფელია) გამორეკეს ცხენები. სოფ. ოლგინსკაში ერთს მედუქნე ოსს ღამე მიეპარნენ დუქნის გასაქურდავად ქისტები, მედუქნემ წამოავლო ბერდანკას ხელი, გამოვიდა გარეთ და მიაყოლა ბერდანკა. ქურდებმა ამ გვარადვე უპასუხეს. ტყვიამ პერანგის კალთები გაუგლიჯა მედუქნეს. მედუქნემ თოფის სროლა არ მოიშალა. ამ დროს თოფის ხმაზედ მეზობლებიცა და მამასახლისიც შეიკრიბნენ, სანთლით გასინჯეს ქურდების ნადგომი ალაგი და ნახეს, რომ სისხლი ენთხია. იმ ღამესვე ეს ამბავი მეორე განყოფილების უფროსს აცნობეს, უფროსიც დაუყოვნებლივ წავიდა. მეორე დღეს სისხლის კვალი მაციყოს სოფელში (ქისტის სოფელია) მიიტანეს, ერთი დაჭრილი ქისტი იპოვნეს, რომელიც ეხლა საავადმყოფოში გაგზავნეს და ამბობენ, მეორე ამხანაგი უკვე მომკვდარა, მაგრამ ქისტები არა ტყდებიანო. სოფ. ხუმელაგაში საბრალო ყაითმაზოვის ქვრივს მოჰპარეს ორი ხარი, ერთი ძროხა და კვიციანი ცხენი. ხუმელაგაშივე სოფლის განაპირა გზაზე, მგზავრს, ერთს გერმანელს, დახვდნენ ღამე, ცხენი წაართვეს და თითონ კარგად სცემეს და ხელებ-შეკრული დააგდეს.

ასე და ამ ნაირად, საბრალო ბარის ოსების ბედის ჩარხი არ იქმნა, წალმა ვერ დაბრუნდა და ვერა. ყოველთვის ასე წეწვა-გლეჯაში არიან ქისტებისაგან, თუმცა შინაური ქურდებიცა ჰყავთ.

მინდოდა ამით გამეთავებინა წერილი, მაგრამ ეს-ეს არის გავიგე, რომ წუხელ, 15 ამ თთვისას, ხუმელაგაში ერთს საცოდავ ოსს, ხაბოშა გასიევს, მოჰპარეს ხუთი სული საქონელი და იმათი გზა-კვალიც ვეღარავინ იპოვაო. ამის ლაპარაკში ვიყავით ჯერ ისევ და ამავე თხუთმეტს მოვიდნენ მდევრები სოფ. ხუმელაგაში სოფ. არიდონიდგან და მოიტანეს ამბავი, რომ 14 ენკენისთვისას, ღამე, რუსის ყაზახის სტანიცა არდონში მოიპარეს შვიდი ხარი და ოთხი ცხენი. ხუმელაგიდგანაც საჩქაროდ მდევარი გავიდა, მაგრამ ქურდების კვალი ვეღარ იპოვნა, რადგანაც ძლიერ ხმელი დედამიწა იყო.

ეს არა-სასიამოვნო ამბები ისევ არა-სასიამოვნო ამბით უნდა დავასრულო. 9 ამ თთვისას, ხუმალაგაში შემდეგს ამბავს შევესწარით. ნაშუადღევის პირველ საათზე, აუტეხეს ეკკლესიის ზარებს ჩახა-ჩუხი და თან ასტეხეს ერთი ალიაქოთი „ჰაი, ჰაი, ცეცხლი გაჩნდა ამა-და-ამ სახლშიო“. მთელი სოფელი ზარების ხმამ ფეხზედ დააყენა და ყველა მირბოდა მაცკა ბიდაროვის სახლისკენ. შეგროვდა სამასამდე კაცი, მაგრამ რაღა დროს, გვიან-ღა იყო: მაცკა ბიდაროვის გძლად გაჭიმული ფიცრული და ჩალით დახურვილი საწყობი (სარაია) ცეცხლის ალში იყო გახვეული. სახლი გადაარჩინეს, საწყობი-კი ჩანთქა შეუბრალებელმა ცეცხლმა. საწყალს მაცკა ბიდაროვს რაც რამ სახლის საჭირო სამუშაო იარაღი ჰქონდა, სულ ერთიან დაეწვა. ბარის ოსებმა ამისთანა ზარალის დროს ძალიან დახმარება იციან ერთმანეთისა. ხალხმა რომ შენიშნა მაცკას დაღონება, მაშინვე მოილაპარაკა, გაქანდგამოქანდნენ, შეაბეს ურმები, მოიარეს სოფელი და იმავ დღესვე ორი იმოდენა ხე-ტყე მოაგროვეს, რამდენიც საწყობს მოუნდებოდა. ამ ნაირად მესამე-მეოთხე დღესვე ახალი საწყობი ჩაუდგეს მაცკა ბიდაროვს. ცეცხლი მეზობლის პატარა ბავშვებს წაეკიდებინათ ამ ნაირად: საწყობის

---

მართლა მეჩვენებოდეს? მაშ არც ამისთანა ქალები უნდა იპოებოდენ ჩვენში:

დღეს ერთი ქალი გამაცნეს,
სახელოვანი, ქებული!
დედ-მამა ჰყავდა ქართველი,
ქართლშია დაბადებული;
მაგრამ ისეა ნასწავლი
და ისე განათლებული,
რომ დედა-ენაც არ იცის,
სმულს კიდეც, დავიწყებული!
თამარ, ქეთევან და ნინო,
უგვლა ჰყავს დაწუნებული;
სხვას შესტრფის მისი გონება,
სხვა გრძნობით დამძიმებული!..
ღმერთმა ნუ მისცეს, რაცა ჰსურს,
და შეურცხვინოს ერთგული!...

—

კარგი, რომ ამ გვარი ქალები ჩვენში არ მოიპოვებიან, თორემ ძვირად დამიჯდებოდნენ ამ უმანკო ბოდვას. ვაჟბატონები და ქალბატონები რომ მოვიხსენიე, ვაითუ ახალგაზდებს გული დასწყდეთ და ერთს იმათზედაც წამოვროშავ და, იმედია, თავის თავზე არავინ მიიღებს:

აქაც არის, იქაც არის,
არც ჩვენია, არც სხვისაო,
თავად ფრთხილი, თანამგრძნობი
მხოლოდ სხვისის მარცხისაო!
ფარ-ხმალი აქვს სათვალთ-მაქცო,
არც რკინის და არც ხისაო,
აღმა-ხნულში მხმარებელი
სადაღმართო ფარცხისაო!
მისი ღვაწლი შეაჩვენოს
მაცხოვარმა კაცხისაო!

დღეს ამით ვათავებთ ჩვენს ბოდვას და ნურას უკაცრავად! ვეცდებით, რომ შემდეგ კვირისათვის უფრო არეულად და ახირებულად მოგახსენოთ.

აკაკი

---

## ზ ღ ა პ ა რ ი

იყო და არა იყო-რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ხელმწიფე და დიდ მდიდარი და მრავალის ქვეყნის ბრძანებელი. ხელმწიფეს შვილი არა ჰყვანდა პირველის ცოლისაგან; მეორე შეირთო, რომ ეგებ შვილი მეყოლოსო, მაგრამ არც მეორისაგან ეყოლა შვილი; მესამე შეირთო და არც იმისაგან ეყოლა. ვიდრე შვიდამდე ცოლი შეირთო მაგრამ არც ერთისაგან არ ეყოლა შვილი და ძლიერ დაღონებული იყო უშვილობის გამო. ამბობდა, ჩემი ხელმწიფობა და ამოდენი ქვეყნები ვის უნდა დარჩესო? იმავე ხელმწიფის საბრძანებელში ერთი მებაღე იყო. ამ მებაღეს სამი ქალი ჰყვანდა, სამივე გასათხოვრები. ერთხელ ხელმწიფემ გაისეირნა ამ მებაღის ბაღში. სახლთან რომ მიახლოვდა, რაღაც ლაპარაკი შემოესმა და ყურის გდება დაუწყო. უფროსმა დამ სთქვა: ამ ხელმწიფემ რომ იცოდეს და მე შემირთოს, კარგ შვილებსაც ვუშობავ და იმისთანა ხალიჩას მოვუქსოვ, რომ რაც ნაზირ-ვეზირი ჰყავს სულ რომ იმ ხალიჩაზე დასხდნენ, კიდევ ადგილი დარჩესო. მეორემ სთქვა: დაიკარგეო, ამ ხემლწიფემ რომ იცოდეს და მე შემირთოსო: კარგ შვილებსაც ვუშობავ და კვერცხის ნაჭუჭში იმისთანა გემრიან საჭმელს გავაკეთებ, რომ, რაც ხელმწიფეს ნაზირ-ვეზირი ჰყავს, სულ გაძღნენო. უმცროსმა დამ სთქვა: დაიკარგენით თქვენაო, ხელმწიფემ რომ იცოდეს და მე შემირთოსო, ოქროს ქოჩრიან ქალ-ვაჟს ვუშობამდი ისეთს, რომ როდესაც გაეცინოთ, ვარდი გაშლილიყოს და როდესაც ეტირნოთ, ცრემლის მაგიერად მარგალიტი ჩამოსცვივნოდათ თვალებიდანაო.

რასაკვირველია, ხელმწიფემ სამისავე ლაპარაკი კარგად შეისმინა, დაფიქრდა და სთქვა: რომელი შევირთოვო, და გადასწყვიტა უმცროსის შერთვა. საშუალოსა და უფროსს კიდევ ჩემს სახელოვან ვეზირებს მივათხოვებ, რომ არა მიმტრონ-რაო. წამობრძანდა ხელმწიფე თავის სასახლეში, დაიბარა იმ ქალების მამა, მებაღე, და გამოუცხადა, რომ თქვენი უმცროსი ქალი მე უნდა შევირთო, საშუალოსა და უფროსსაც მე გაგითხოვებ ჩემ სახელოვან ვეზირებზეო. მებაღემ მოახსენა ხელმწიფეს: თქვე დალოცვილო, რა მასხარად მიგდებთო. ხელმწიფემ დაარწმუნა, რომ უტყუარს სიტყვას გეუბნებიო. გაატანა ხელმწიფემ ქალთან სადედოფლო ტანისამოსი და დაიბარა: ხვალ მავან და მავან საათზე მზად იყავით, რომ წამოვიყვანო ქალიო. მებაღემ მადლობა მოახსენა ხელმწიფეს, მხიარული წავიდა შინ და მზადება დაიწყო მეორე დღისთვის. გათენდა დილა და წაბრძანდა ხელმწიფე დიდის ამბით მებაღის სახლში, ჯვარი დაიწერა უმცროსს ქალზე და წამობრძანდა თავის სასახლეში ცოლითურთ, ის ორი მებაღის ქალიც თან წამოიყვანა და სახელოვან ვეზირებს მიათხოვა. მაგრამ ძრიელ გადაემტერნენ თავიანთ უმცროს, დას, ხელმწიფემ რად შეირთოვო. ცდილობდნენ იმისთანა დრო ეპოვნათ, რომ თავიანთი და მოეკლათ.

გავიდა რამდენიმე ხანი და დაორსულდა ხელმწიფის ცოლი. როდესაც გაიგეს, ჩვენი და დაორსულებულაო, დაიბარეს ბებია და უთხრეს დიდის ხვეწნით: აი ამდენ-და-ამდენს ფულს მოგართმევთ, და ჩვენს უმცროსს დას (ხელმწიფის ცოლს) რომ ოქროს ქოჩრიანი ქალ-ვაჟი ეყოლოს, დაღუპე და ჩვენ დას კიდე ერთი რამ მოუგონე, ხემწიფემ გააგდოსო. ბებიამ უთხრა მებაღის ქალებს: კარგი, ეხლა მე მე ვიცი, რასაც მოვახერხებ. მისცეს ქალებმა ფული ბებიას და გაისტუმრეს. როდესაც მოუახლოვდა დედოფალს მშობიარობის დრო, დაიბარა ხელმწიფემ ბებია და ბებიამ შემოუთვალა ხელმწიფეს ერთს საათს შემდეგ გიახლებიო. ბებიამ გააკეთებინა საჩქაროდ ერთი ყუთი, ერთი წყვილი ძაღლის ლეკვებიც იშოვნა, ის ქალებიც თან წაიყვანა და წავიდა ხელმწიფის სასახლეში, ვითომ ეს ყუთი საჭირო იყო იქ სახმარებლად და ის ქალები კიდე თავიანთ დის მისაშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



გვერდზე თურმე თამაშობის დროს ცეცხლი აენთოთ და მაშინვე მოსდებოდა ჩალას.

ქართველი ოსებში

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა ვუძღვნა ბ-ნს ი. ჟღენტს, რომელმაც გადმოგვცა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლეთათვის დასარიგებლად მის მიერ შედგენილი: „Примѣрныя рѣшенія задачъ по математикѣ“ — ოცი ცალი და „Родословныя царей и князей русскихъ и литовскихъ и монгольскихъ хановъ“ — ოც-და-ერთი ცალი.

ინსპექტორი სათავად-აზნაურო სკოლისა ა. ჭიჭინაძე

1889 წ. 23 ენკენისთვეს.

## უცხოეთი

ინგლისი. 11 სექტემბერს გლადსტონმა სიტყვა წარმოსთქვა გოკარდენში ინგლისის ცხოვრების ზოგიერთ საყურადღებო საგნის შესახებ დიდებულმა მოხუცმა ჯერ ინგლისის მუშების საქციელზე დაიწყო ლაპარაკი, იმ მუშების საქციელზე, რომელთაც შეჰკრეს პირობა და ხელი აიღეს მუშაობაზე ლონდონის ნავთ-სადგურებში, ანუ დოკებში. გლადსტონმა სთქვა: „პირის შეკვრა და მუშაობაზე ხელის აღება მუშების მიერ ახალი ამბავი არ არის ინგლისში, მაგრამ უკანასკნელი პირის შეკვრა კი, თუ არა ვსცდები, სულ სხვა ნაირი იყო. უკანასკნელ პირ-შეკრულობას მუშებისას ისეთი ხასიათი ჰქონდა, რომ ნება-უნებლიედ კაცს დააფიქრებს. თუ შეგინიშნავთ, აქამდე პირს შეჰკრავდნენ ხოლმე მუშები ერთის რომელისამე წარმოებისა და მუშაობის ამკვეთელთა მეთაურებად და ხელ-მძღვანელებად იყვნენ ხოლმე წევრნი ერთის რომელისამე მუშათა ამხანაგობისანი. უკანასკნელ მუშაობის აკვეთას-კი ის განსაკუთრებული თვისება ჰქონდა, რომ სხვა-და-სხვა წვრილ წარმოების მუშანი ერთად შეერთდნენ და ყველამ ერთად აჰკვეთეს მუშაობა, რომ მით უფრო მალე დაემლიათ წარმოებისა და საქმის პატრონები. ეს ამბავი საყურადღებო სოციალური ამბავია და სამერმისოდ დიდი მნიშვნელობაც ექმნება. მე მგონია, რომ ლონდონელმა მუშებმა ამ შემთხვევაში ირლანდიელებს მიჰბაძეს. იქაც ისე იყო, იქაც მთავრობის ძალ-მომრეობამ შეაერთა ირლანდიის ერის სხვა-და-სხვა ჯგუფნი და წოდებანი და ყველას ერთად გამოაღებინა ხელი იმ საქმის საწინააღმდეგოდ, რომელიც საერთო საზარალო საქმედ მიიჩნია ყველამ. სწორედ მოგახსენოთ, მე ასე მგონია, რომ ნამდვილად ირლანდიის მაგალითმა ასწავლა ჭკუა ინგლისის მუშებსაც. გარემოება საქმისა ასე იყო: სხვა-და-სხვა წარმოების მუშანი ერთად შეერთდნენ, რათა საერთო ღონით უფრო ადვილად დაეყოლიებინათ წარმოების პატრონები და მოემატებინებინათ დღიური ფასი მუშაობისა. ეს გარემოება საყურადღებო გარემოებაა და საყურადღებოა მით, რომ აუარებელს რიცხვს მუშებისას შეუძლიან ერთს დღეს პირი შეჰკრას და აჰკვეთოს მუშაობა მრავალგან და ამ სახით თავისი სურვილი გაიყვანოს აუცილებლად და სასწრაფოდაც. უთუოდ შენიშნავდით, რომ აქაურ მუშებს იმედი ჰქონდათ უცხო ქვეყნელ მუშების თანაგრძნობისაც, როცა, მაგალითად, ხმა გავარდა, რომ მუშების დაბარებას ბელგიიდამ აპირებენო, მუშაობის ამკვეთელთ გამოაცხადეს: ჩვენ დეპუტაციას გავუგზავნით ბელგიელ მუშებს, ავუხსნით ნამდვილად საქმის გარემოებას და, დარწმუნებულნი ვართ, ისინი ჯიბრში არ ჩაგვიდგებიან და არც სამუშაოს შემოგვეცილებიან ჩვენს სამშობლო ქვეყანაშიო. ავსტრალიიდამ და სხვა კოლონიებიდამაც, სადაც მუშა უფრო მეტს ფასს იღებს, დიდ-ძალი ფული მოსდიოდათ აქ მუშაობის ამკვეთელთ შესაწევრად. ესეც ფრიად საყურადღებო გარემოებაა. მუშებმა რომ მოაწყონ ისეთი ორგანიზაცია, რომლის შემწეობითაც შრომას შეეძლოს ერთობილად მოქმედება, შრომის ძალა, ცხადია, ბევრად იმატებდა ფულისა და კაპიტალის საწინააღმდეგო ბრძოლაში. მაგრამ მე აქ სიტყვა „ბრძოლა“ იმ აზრით-კი არ მითქვამს, რომ ვითომ კაპიტალი, ფული და შრომა ერთმანეთის მტრობაში იყვნენ. ერთიცა და მეორეც სასარგებლო ძალაა და ურთიერთად არ ვარგა, ხოლო მათ შორის ჯიბრსა და ცილობას ის აზრი აქვს, რომ უფრო თანაბრად, უფრო ჭეშმარიტის სისწორით გაიყონ ერთმანეთში საერთო ნაღვაწი სამრეწველო მოქმედებისა და წარმოებისა. ხოლო თუ მუშის წილი ეხლა მეტია უფრო, ვიდრე წინად, მაინც, ჩემის აზრით, უკანასკნელი აკვეთა მუშაობისა დოკებზე ცხადად გვიმოძღვრებს, რა უნდა მივიჩნიოთ ნამდვილ და ჭეშმარიტ პროგრესად და წარმატებად. მაინც უნდა მუდამ სახეში გვქონდეს, რომ წარმატება და ჭეშმარიტი პროგრესი სცდილობს, უფრო თანასწორი, უფრო მტკიცე და სამართლიანი ურთიერთობა დაამკვიდროს, უფრო სამართლიანი ზომა და საწყაო მოსძებნოს და ამ სოფლის სიამოვნებისა და მრეწველობის სიკეთე თანაბრად განაწილებულად კაცთა შორის“.

შემდეგ გლადსტონმა ილაპარაკა ვერმო არჩევნების თაობაზე ხუთის საარჩევანო თემში და დასასრულ შეეხო ირლანდიის კათოლიკეთათვის უნივერსიტეტის დაარსებას მთავრობის მიერ.

ავსტრო-უნგრია. პრაგაში საეიმო არჩევნებზე სუთიოდე სტარო-ჩეხების დეპუტატმა გაიმარჯვა გრაფმა ტუნმა, რომელიც ეხლა დაინიშნა ბოჰემიის ნამესტნიკად ბარონ კრაუზეს მაგიერ, სხვათა შორის იმიტომ, რომ შეასუსტოს იქ ძლიერება მლადო-ჩეხებისა, მიიღო დეპუტაცია პრაგის ქალაქისაგან და უთხრა: „პრაგის არჩევანებმა ძალიან გამახარა და დიდად მასიამოვნა, რადგან ის აზრები, რომელსაც ადგანან ახლად არჩეულნი, მეც ჩემს საკუთარ აზრებად მიმაჩნია საზოგადოდ ზომიერ აზრების დამცველთ ყოველ შემწეობას აღმოვუჩენ და რადიკალ აზრებს-კი წინააღმდეგობას გავუწევო“.

ამაზე გაზეთი „Народные Листы“ ასეთის ღირსეულს პასუხს აძლევს გრაფს ტუნს: „რასაკვირველია, არავინ დაემდურება გრაფს, თუ მან თვისი საკუთარი აზრები გამოსთქვა და საკუთარი გრძნობა გაგვიმჟღავნა, როგორც კერძო კაცმა, ხოლო თუ, რაც მან ილაპარაკა, ილაპარაკა ოფიციალურად, ისე, როგორც ქვეყნის წარჩინებულმა კაცმა, მაშინ უნდა ვსთქვათ რომ ბ-ნი ტუნი სრულიად უტაქტო კაცი ყოფილა და არა ჰქონია ის გრძნობა მიუკერძოებლობისა, რომელიც აუცილებლად საჭიროა ქვეყნის გამგებლისათვის. კერძოდ გრაფს ტუნს შეუძლიან, რამდენიც უნდა, ისიამოვნოს სტარო-ჩეხების გამარჯვების გამო. შეუძლიან კონსერვატორთა დასის აზრები თავის აზრებად მიიჩნიოს, მაგრამ, როგორც ქვეყნის გამგებელი, როგორც ნამესტნიკი და საკონსტიტუციო მონარხიის წარმომადგენელი, იგი მოვალეა არც ჩეხიის ერის თავისუფალ მოაზრეთა დასის აზრები დააყენოს უკან, ვიდრე ეს დასი კანონს არ გადასცილებია, ვიდრე კანონების ღონისძიებით იცავს თავისს აზრებს. რაც უნდა მრიელ სძულდეს ის აზრები ბ-ნს ტუნს, რაც უნდა ეჯავრებოდეს მოწინააღმდეგეთა დასი, იგი მაინც მოვალეა, როგორც ნამესტნიკი, ცოტა სხვაფრივ შეჰხედოს თავის მოვალეობას, მოვალეა განახორციელებდეს სამართლიანობასა და მიუკერძოებლობას“.

უმაღლესს მთავრობასაც არ მოსწონებია ვენაში ტუნის ასეთი დაუფიქრებელი ლაპარაკი. მთავრობა იმ აზრისაა, რომ ასე ცხადად დევნა მლადო-ჩეხებისა არ ივარგებს და ჩვენს სურვილს უფრო ვეღარ შევისრულებთო...

## წვრილი ამბები

პარიჟში მომხდარს დედათა კონგრესს პრაქტიკულ შედეგად ერთი სალიტერატურო ნაწარმოები მოჰყვა თურმე. პირველ დეკემბრიდგან პარიჟში უნდა გამოვიდეს ჟურნალი „Bulletin“-ი, რომლის რედაქტორადაც ქ-ნი შელიზალევი არის დანიშნული. ამ ჟურნალს საგნად აქვს ურთიერთობა ჩამოაგდოს განათლებულ ქვეყნის ყველა მოაზრე დედაკაცს შორის, იმ დედაკაცებისა, რომელნიც მონაწილეობას იღებენ სასულიერო და მატერიალურ მუშაობაში დედათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და განსავითარებლად. ეს ჟურნალი განსაკუთრებით დედათა საქმეს მიაქცევს ყურადღებას, ქალების შესახებს ამბებსა ჰბეჭდავს. ყოველ ამ ჟურნალის წიგნში დაბეჭდილი იქნება თურმე ბიოგრაფია რომლისამე გამოჩენილის დედაკაცისა.

— პარიჟის შოკოლადის მეფაბრიკეს, მოსამსახურეების დაჭერის ასაცილებლად, თავისს ქარხანაში გაუკეთებინებია რკინის გზა სამზარეულოდგან სასტუმრო ოთახამდე. რკინის გზა სტოლს გარშემო უვლის და შემდეგ ისევ სამზარეულოსკენ მიმავალს გზას უერთდება. გაისმის თუ არა ზარების ხმა, რომელიც მეფაბრიკესატყობინებს, რომ შოკოლადი მზად არისო, ელექტრონის ღილს თითს აჭერს სტოლ ქვეშ და ოთახში შემოდის გამონგრეულ კედლიდგან პაწია რვა-თვლიანი ვაგონი, რომელზედაც აწყვია სხვა-და-სხვა გვარი საჭმელი. ეს პაწია მატარებელი იმავ ელექტრონის ღილის შემწეობით ყველა სტუმრის წინ სდგება და როცა ეს სტუმარი თავისს დაბარებულს საჭმელს აიღებს, ახლა მეორეს უვლის. მატარებლის სიჩქარე თვით იმაზეა დამოკიდებული, ვინც ღილს აჭერს ხელს. ამავე მატარებელს მიაქვს ცარიელი თეფშები და მოაქვს სუფთები, რომელსაც სტუმრები თითონვე ურიგებენ ერთმანეთს.

— შვეიცარიაში სულ 1000 ოტელია თურმე, რომელშიაც 58,000 საწოლია გამართული. ამ ოტელებში 16,000 კაცია მოსამსახურე. ხარჯი ამ ოტელებს აქვს თითქმის 14.400,000 მანეთამდე, შემოსავალი — 21.000,000 მან., ასე რომ წმინდა შემოსავალი რჩება 6.600,000 მანეთი.

— ვოკიდნგში, ინგლისშია, ამას წინად დაუწვავთ გვამი ნიჭიერის ახალგაზდა მწერლისა, ემილია ლევისა. როგორც სჩანს, ამ ქალს არა ერთხელ სდომებია სიცოცხლეშივე თავის მოწამლვა ნახშირის სუნით, მეგობრები ხელს უშლიდნენ, თურმე მაგრამ ბოლოს მაინც არ დაიშალა და განზრახვა შეისრულა. ამ ქალის ზოგიერთი რომანი ძალიან გავრცელებულია და საზოგადოდ დიდი იმედი ჰქონდათ თურმე იმის ნიჭისა.

— ფილადელფიაში შემდგარა მთელი ამხანაგობა ზანგ-არტისტთა, რომელნიც განსაკუთრებით შექსპირის დრამების წარმოდგენებსა ჰმართავენ.

— ახირებული თავის მკვლელობა მომხდარა ამას წინად ქალაქ პარიჟში; ფრანგს მომუშავეს, გვარად ეტიენ გაზს, ერთი ისეთი საჩივარი ჰქონია, რომელ-

---

ველებლად. გარიჟრაჟმა რომ მოატანა, დაწვა ხელმწიფის ცოლი და ეყოლა ოქროს ქოჩრიანი ქალ-ვაჟი. მაშინვე ბებიამ უბრძანა იქ დამსწრე ხალხს, თქვენ წადითო, ამ ქალის დები და მე ვეყოფითო. ბევრს ხალხში უფრო გული შეუშფოთდება მელოგინესო. მაშინვე ამოიყვანა ყუთიდგან ძაღლის ლეკვები და ყმაწვილები-კი ჩააწვინა იმ ყუთში, ფისით მოლესა და უთხრა ქალის დებს: წაიღეთ და ზღვაში გადააგდეთო. ეს საქმე ისე მოახერხა, რომ ვერც ხელმწიფემ გაიგო და ვერც მელოგინემ. დედოფლის დებმა გადააგდეს ყუთი თუ არა, დაბრუნდნენ ისევ თავიანთ დასთან და ბებიამ-კი ამბავი გამოუტანა ხელმწიფეს: მეხი-კი დაეყაროს იმას თავზე, ოქროსქოჩრიან ქალ-ვაჟის მაგიერ ძაღლის ლეკვები შობაო. ეს რომ ხელმწიფემ გაიგონა, ძლიერ შესწუხდა და გაჯავრდა, მაგრამ რას იქმოდა, მაშინვე უბრძანა ვეზირებს: ეს მებაღის ქალი წაიყვანეთ ერთ ჯვარედინს გზაზე და ძუძუებამდე მიწაში დაჰფალით. ეს ძაღლის ლეკვებიც მიუყარეთო და ქალალდზე დასწერეთ: ვინც აიარ ჩაიაროთ, ზედ მიაფურთხეთო. იმ წამსვე აასრულეს ხელმწიფის ბრძანება. ის ქალი მიწაში დაჰფლეს ძუძუებამდე და ლეკვებიც მიუყარეს. რასაკვირველია, ქალის დები და ბებია ძალიან გამხიარულდნენ, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა.

იქვე ახლოს ერთი განდეგილი სცხოვრობდა. ეს განდეგილი დილ-დილით ზღვის პირას გამოდიოდა პირის დასაბანად. ერთხელ გამოვიდა, გაიხედა და დაინახა, რომ ზღვაში ერთი ყუთი ტივტივით მიაქვს წყალს სთქვა ამ განდეგილმა: იქნება სადმე გემი დაიღუპა და ეს ყუთი იქიდგან არისო. ღმერთო, ეს ყუთი ჩემსკენ მოიდესო. შიგ ფული და ნივთი იქნება. რად მინდა, ისევ ზღვაში ჩავაგდებო. ეს რომ სთქვა განდეგილმა, წამოვიდა, წამოვიდა ეს ყუთი და ნაპირას დადგა. მივიდა განდეგილი, ამოიღო ეს ყუთი, ახსენა ღმერთი და გახსნა. ნახა, რომ შიგ ოქროს ქოჩრიანი ქალ-ვაჟი წვანან და შიგაც მარგალიტი ყრია. ძლიერ გაჰკვირდა განდეგილი და მადლობა შესწირა ღმერთს, ეს რა საკვირველი რამ ვნახეო. ამოიყვანა ყუთიდგან, მაგრამ დაღონდა და სთქვა: რით უნდა გავზარდო ესენიო? სთხოვა ღმერთს რომ იმათთვინაც საზრდელი რამ მიეცა. ამასობაში სად იყო და სად არა ერთმა მეწველმა თხამ ჩამოიარა მივიდა განდეგილი, წაავლო ამ თხას ყურში ხელი და ეს თხაც დამორჩილდა. მიიყვანა ყმაწვილებთან, გადააბოტა თხამ ფეხები და ძუძუ მოაწოვა ყმაწვილებს. თხა დაეჩვია იმ ადგილს და დილა საღამოს მოდიოდა ყმაწვილებისთვის ძუძუ მეეწოვებინა? ორ-ორის წლისა გახდნენ ყმაწვილები და თხაც აღარ მოვიდა. განდეგილს მანანა ჩამოსდიოდა ღრუბლიდგან საჭმელად. თხა რომ აღარ მოვიდა, მანანა მიემატა. იმოდენა მანანა ჩამოდიოდა, რომ იმ ყმაწვილებსაც ჰყოფნიდათ. განდეგილმა ასწავლა ყმაწვილებს: მე პაპა დამიძახეთო. შვიდშვიდის წლისა რომ გახდნენ, განდეგილს გამოეცხადა ანგელოზი და უთხრა, რომ მაღან და მაკან დროზე მზად იყავი, სული უნდა ამოგართვაო, და წავიდა ანგელოზი. ი დრო რომ მოახლოვდა, განდეგილმა მოსთხარა თავისთვის საფლავი და გამოუცხადა ყმაწვილებს: როდესაც ამ საფლავში ჩავწვე და სული მივაბარო, თქვენ მიწა მომაყარეთო. არ შეგეშინდეთ, თქვენი თავი ღმერთისთვის მიმინდვია, ღმერთი არ დაგკარგავთო. სთქვა ესა და ჩაწვა იმ საფლავში, გულ-ხელი დაიკრიფა და მიიცვალა.

დაიწყეს მწარეთ ტირილი ამ ყმაწვილებმა და ამბობდნენ: პაპავ, შენ რომ თავი დაგვანებე, რაღა გვეშველებაო. იმოდენა იტირეს, რომ საფლავი მარგალიტით მოიფინა. ბევრი იტირეს, მაგრამ რაღას უშველიდნენ, მანანა აღარ ჩამოუვიდათ ღმერთისაგან და ძლიერ მოშივდათ. ვაჟმა უთხრა თავისს დას: დაო, აქ იყავ და მე წავალ, ეგები საჭმელი ვიშოვნო სადმეო. ქალი იქ გაუშვა და თითონ წავიდა. იარა-იარა და თავის მამა ხელმწიფის ქალაქის ნაპირს მიახლოვდა. იმ ქალაქის ნაპირას ერთ გლეხს ღვთის წირვა ჰქონდა. ხალხი რომ დაიშალა, გამოვიდა ეს კაცი გარეთ, ნახა ტიტველა ოქროს თმიანი ყმაწვილი მოდის, მაშინვე სთქვა, ეს ხელმწიფეს შვილი იქნებაო. გაიქცა თავის ტანისამოსი მოაფარა და შინ მიიყვანა. ჰკითხა საიდამ მოსდიხარ, შვილოვო? ყმაწვილმა დაწვრილებით ყოველისფერი უამბო და უთხრა, ძლიერ მშიერი ვარ და მაჭამეო. იმ კაცმა პური აჭამა და უთხრა: აბა წავიდეთ, შვილო, შენი და სადღა არისო? წაიყოლა ყმაწვილი, ერთის ხურჯინით საჭმელი და ტანისამოსი წაიღო ამ კაცმა და გაჰყვა ყმაწვილს, ნახა ამ კაცმა, რომ საფლავი თავ-მობმული იყო მარგალიტით და ძლიერ გაჰკვირდა. ქალსაც აჭამა საჭმელი და ტანისამოსი ჩააცვა. ორსავე თმები შეუხვია და უთხრა: მე მამა დამიძახეთო. უთხრა ამ კაცმა: აი შვილებო, ეს პურიაო, ეს ხორციაო, ეს ღვინოაო, ეს კიდევ ტანისამოსი, ტიტვლები რომ იყვნეთ, სირცხვილიაო. კაცმა ხურჯინს ავსება დაუწყო მარგალიტით. ყმაწვილებმა უთხრეს: მამავ, რად გინდა ეგენი, წავიდეთ შინ, ვიტირებთ და თვალებიდგან სულ მაგისთანები ჩამოგვცვივდებაო (ის-კი არ იცოდნენ, რომ ძვირფასი რამე იყო მარგალიტები). მაინც კაცმა ვერ მოითმინა და ერთი ხურჯინის თვალი აავსო მარგალიტით. წამოიღო და წამოიყვანა ყმაწვილები შინ, მხოლოდ სხვასთან-კი არ გამოაჩინა.

(შემდეგი იქნება)

საც დასრულება აღარ ეშველა თურმე და დიდი ფულიც დაუჯდა. ბოლოს ამ კაცს ამ ქვეყნიერ მოსამართლეთაგან თავის დაღწევა მოუნდომნია, უყიდნია თოკი, თან წაუღია ერთი თაბახი ქაღალდი და კარანდაში და სენ-მარტენის არხის ნაპირად გასულა. აქ თოკის ერთს წვერზედ დიდი ქვა მოუბია და კისერზედ მოუხვევია, მეორე ბოლოზედ ქაღალდი მოუბამს შემდეგის წარწერით: „გასწიეთ თოკს და იხილავთ მაგვამს, რომელიც სცხოვრობდა დე-ლა-ვილლეტის ბულვარზედ, № 190. ჩემს სიკვდილს ნურავის დაასაბაბებთ, რადგან მე თითონ დავირჩიე თავიო". ამ გვარად რომ მომზადებულა, წყალში გადავარდნილა. მეორე დილით მეგმეს უნახავს მდინარეზედ ქაღალდი, გამოუწევია და ამოუთრევია დამრჩვალი ადამიანი. ეტიენ გაზი სწორედ იმ ადგილას მდგარა, რა ადგილიც ქაღალდში ჰქონია აღნიშნული.

# დეპეშა

22 სექტემბერი

პეტერბურგი. დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე გუშინ ვერჟბოლოვით საზღვარ-გარეთ წავიდა თავისის უავგუსტოესის მეუღლითურთ.

სტამბოლი. გერმანიის ელჩმა რადოვიცმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ გერმანიის იმპერატორი და იმპერატრიცა სტამბოლს ნოემბრის 1-ლს მოვლენო.

ბერლინი. საიმპერიო ბანკმა მიუმატა ვექსილების განაღდებაში სარგებელს 4—5%-მდე.

პეტერბურგი. გაზეთი „Гражданинъ"-ი იუწყება, რომ სასახლის პოლიციის უფროსი შირინკინი და რკინის გზის სატეხნიკო ნაწილის ინჟენერი კოპიტკინი წავიდნენ ქ. კილს, საცა პარიჟიდგან მიეა გენერალ-ადიუტანტი ჩერევინიო.

ბელგრადი. დედოფალს ნატალიას ჯერ არ უნახავს თავისი შვილი, მეფე ალექსანდრე. დედოფალმა უარჰყო სარეგენტოს წინადადება და გამოაცხადა, რომ ხელს არ მოვაწერ იმ პირობაზედ, რომელიც მეფის დედისა და სერბიის ქვეშევრდომის უფლებას მართმევსო. დედოფალმა დასძინა: იმ განზრახვით მოვედი, რომ აქვე დავრჩე და არავის ნებას არ მივცემ ჩემის დედობრივის უფლების შესახებ ვაჭრობა დამიწყოსო.

ნეაპოლი. მეფემ დაამტკიცა პირობა, რომლითაც გრაფი ანტონელი შეეკრა მეფე მენელიკს. დღეს კრისპიმა და მენელიკის წარმომადგენელმა ხელი მოაწერეს დამატების კონვენციაზე.

კოპენჰაგენი. დანიის სამეფო სახლობა და უავგუსტოესი სტუმრები გუშინ ჰელსინგერს იყვნენ და ისაუზმეს ინგლისის საადმირალო გემზე. გუშინ დანიის ფლოტის აფიცრებმა ბალი გაუმართეს ინგლისის ოფიცრებს.

კვირას რუსისა და ინგლისის ეკკლესიებში წირვა იქნება გადახდილი. წირვის შემდეგ საუზმე იქნება გამართული იახტა «დერჟავაზე». საუზმეზე დაესწრებიან მეფე და დედოფალი, ბრიტანიელი უავგუსტოესი სტუმრები და რუსეთისა და ინგლისის საელჩოთა წევრნი მანდილოსნებითურთ.

პარიჟი. ვენიდგან იუწყებიან, ვითომ ბოლგარიას შეეთვალოს ოსმალეთისათვის, რომ, თუ ვინიცობაა ოსმალეთმა რაიმე დაუთმო საბერძნეთს კრიტის საქმის შესახებ, ეს ამბავი დიდს ზედმოქმედებას იქონიებს მაკედონიასა და ბოლგარიაზეო.

23 სექტემბერი

პეტერბურგი. გაზეთ „Новое Время"-ს შეუტყვია, რომ იუსტიციის სამინისტროში უკვე დაუმზადებიათ პროექტი, რომლის ძალითაც ებრაელებს წინანდებურად აღვილად არ შეეძლებათ ნაფიც ვექილთა წოდებაში ჩარიცხვა.

ბელგრადი. დედოფალი ნატალია ესტუმრა მიტროპოლიტს მიხეილს. სხვას არავის სტუმრებია.

სამსახურიდგან დაითხოვეს ბელგრადის ქალაქის უფროსი გეორგიევიჩი, ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი ანგელიჩი, დანიჩი, რომელიც სერბიის აგენტად იყო სოფიაში და ხრისტიჩი, რომელიც ელჩად იყო ბერლინში. ამ ამბავს სერბიამ კარგად მიეგება, რადგანაც ეს კაცები მილანის მომხრენი იყვნენ.

დედოფალ ნიტალიას ესტუმრნენ ელჩები გარდა გერმანიის ელჩისა და ოსმალეთისა.

რადიკალთა დასის საუკეთესო წარმომადგენელნი იმ აზრისანი არიან, რომ სერბიის მშვიდობიანობისა და წარმატებისათვის საჭიროა მეფის მშობლები მოაშორონ სერბიას როგორც ეტყობა, იმ აზრისაა მართებლობაც, რომლებიც მოსთხოვს მილანსა და ნატალიას სერბიიდგან წასვლას. თუ არ დასთანხმდნენ, მაშინ მართებლობა სკუპჩინას მიმართავს და სთხოვს ისეთი კანონი შემოიღოს, რომელმაც უნდა განსაზღვროს როდის და რა შემთხვევაში უნდა შეეძლოთ მილანსა და ნატალიას სერბიაში მოსვლა. ერთი გაზეთი ამბობს, რომ არც მილანს და არც ნატალიას, თავიანთის კერძო ანგარიშისა და უთანხმოების გამო, უფლება არა აქვთ განწირონ შინაური მშვიდობიანობა სერბიისა.

ალჟირი. ადგილობრივმა საკომერციო კლუბმა ნადიმი გაუმართა კრეისერ Адмиралъ Корнилов-ის ოფიცრებს. გენერალმა ბრეორმა საფრანგეთის არმიისა და ფლოტის სახელით თანაგრძნობა გამოუცხადა რუსეთის ჯარსა და ფლოტსა და ორისავე ერის სადღეგრძელო დალია. კრეისერის უფროსმა ალექსეიევმა მადლობა უძღვნა ბრეორს და დალია სადღეგრძელო კარნოსი, ალჟირის გუბერნატორისა, გენერალ ბრეორისა და საფრანგეთის არმიისა და ფლოტისა. ხალხი დიდის ამბით მიეგება რუსის ოფიცრებს ქუჩებში.

პეტერბურგის ბირჟა, 22 სექტემბ.

| | მყიდველნი | | გამყიდველნი | | გაყიდულნი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — | „ | — | „ | 7 | 66 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | — | „ | 153 1/4 | |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — | „ | — | „ | 1 | 11 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — | „ | — | „ | 261 1/2 | |
| —მეორისა . . . . . | — | „ | — | „ | 238 1/2 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 97 | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — | „ | 98 1/4 | | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 83 3/4 | | — | „ | — | „ |


# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება
ყველა წიგნის მაღაზიაში
ახალი ქართული წიგნი:

ქართული თეატრი
(1879—1889)
ვალერიან გუნიასი.

შინაარსი:

I. სახალხოდ ქართულის სამუდამო სცენის ათის წლის თავისა. II. წინასიტყვაობის მაგიერად. III. ქართულის თეატრის დასაწყისი და იმისი თავ-გადასავალი. IV. ქართული სამუდამო სცენა (1879—1889). V. რა ეჭირვება ქართულს თეატრს. VI. ქართული დრამატურგები. VII. ქართული არტისტები. VIII. დრამატიული ხელოვნება. IX. სასცენო ხელოვნება. X. თეატრის მნიშვნელობა.

ფასი 40 კაპ.

(10—3)

გამართე მდიდრულად და მშვენიერად მოწყობილი ნუმრები:

„ოდესა"

მიხეილის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს ახლოს, მარჯვნივ. ამ ნომრებს წინად „მოსკოვის ნუმრები" ეწოდებოდა.

მაქვს სუფთა და ლაზათიანი ოთახები. მოსამსახურენი ფრიად თავაზიანად და მართებულად ექცევიან ჩვენს ნომრებში მდგომთ. ფასი ნომრებისა ზომიერია და ხელ-მისაწვდომი.

თ. ლენტორ დავითის ძე ლორთქიფანიძე

(2—1)

„წერა-კითხვის საზოგადოების"
წიგნის მაღაზიამ
მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ჟანნა-დარკ . . . . | „ | 5 |
| ბერლინის ხარემოცვა . . | „ | 5 |
| ქართული თეატრი . . | „ | 40 |

წერა-კითხვის გამავრცელებელ
საზოგადოების
წიგნის-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ვაჟა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების" გამოცემა . . | „ | 30 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 10 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა, იმავ საზოგადოების გამოცემა . . | „ | 20 |
| გრამატიკა, არ. ქუთათელაძისა . . . . . | „ | 40 |
| გრამატიკა, ჟორდანიასი . | „ | 55 |
| მიბაძვა ქრისტესი, უყდოდ. | „ | 40 |
| ყდით. . . . . . . | „ | 70 |
| ჩანგი, კრებული ლექსთა და სხვა . . . . . . . | „ | 70 |
| ანუკა ბატონიშვილი, რჩეულოვისა. . . . . | „ | 20 |
| ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |

დაზღვევა სიცოცხლისა
ზღვევის საზოგადოებაში, სახელწოდებით
„რუსეთი"
უმაღლესად დამტკიცებულია 1881 წ.

დაზღვევა და უზრუნველ-ყოფა
ქონებისა და ფულისა მემკვიდრეთათვის;
პენსიისა ქვრივთათვის;
ქონებისა და ფულისა, რომელიც მოხუცებაში მიეცემა დამზღვეველს;
პენსიისა მოხუცებულობაში;
მზითვისა გასათხოვარ ქალთათვის;
სტიპენდიისა ყმაწვილებისათვის;
ყოველ-წლიურ შემოსავლისა სიკვდილამდე.

დამზღვეველთ წილი აქვთ საზოგადოების მოგებაში

1 იანვრამდე 1889 წ. საზოგადოებაში „რუსეთი" დაზღვეულია და უზრუნველ-ჰყო 20,107 კაცმა 56.795,020 მანათის ფული და ქონება.

მოგება დაზღვეულთა 1887 წელს იყო 12%, თხოვნა ზღვევისა და ყოველ გვარი ცნობა ზღვევის შესახებ უნდა გაეგზავნოს მართებლობას პეტერბურგს, Большая морская, № 13. ტფილისის აგენტებს ვ. ლ. პოტკოვსა და ი. ბ. გოლდფარბსა და საზოგადოების სხვა სააგენტოებს იმპერიის ქალაქებში.

ბროშურები სიცოცხლის დაზღვევის შესახებ ყველას, ვისაც სურს, უფასოდ ეძლევა და ეგზავნება.

სოლოლაკის ქუჩა, სახლი თავ. მელიქოვისა, ირაკლი გრუზინსკის სახლის პირდაპირ.

(10—4)

კერძო ექიმი
პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონით: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნერვების სნეულებას, ნერვების ქარსა და კონტრაქტურას (გაშავის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8 მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად.

(14—5)

№ 4711.

ამ ფაბრიკის მარკით მომზადებული
ო-დე-კოლონი,
სურნელოვანი წყლები,
სატუალეტო საპონი საუკეთესო ღირსებისა,
გლიცერინის საპონი,
კანის დასარბილებელი საშუალებანი,
კბილის ტკივილის წამალნი,
პუდრა,
თმის ზეთი, პომადა,
ტუალეტის წყალი
და სხ.

თავისის მშვენიერის ღირსებისა და სიაფის წყალობით მთელს ქვეყანაზეა განთქმული.

ვსთხოვთ საპარფიუმერო საქონლის მყიდველთ, რომ ყიდვის დროს საქონელი მოიკითხონ აქ აღნიშნულ

საფაბრიკო № 4711. მარკიანი,

რომლისთანაც რუსეთის თითქმის ყველა საუკეთესო საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიებში ისყიდება.

უმთავრესი დეპო ტფილისისათვის იმყოფება ი. ბალცერეიტთან.

(10—10)

მიხ. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თთვეში 10 მან., სახლში აყვანილნი—30 მანათს. მიხეილის ქუჩაზედ, კუკიაში, სახლი № 108.

(50—49)


Дов. ценз. Тифлисъ 23-го Сентября, 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Тиографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე